

დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობა და განზრახ მკვლელობა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 54-კოლ

18 დეკემბერი, 2003 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ
მერაბ ჭურავას თავმჯდომარეობით
პალატის წევრების: ვალერი ხრუსტალის,
ირაკლი ბიბილაშვილის,
მაია ვაჩაძის,
გოდერი ბორჩხაძის,
მადონა გოგელიას,
ნინო გვერდიშვილის,
როზა ნადირიანის,
მურმან ისაევის შემადგენლობით

სხდომის მდივანი — ო. ფერაძე

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორები — ა. ხ.-ი, ნ. უ.-ი

ადვოკატები — დ. ხ.-ია, ვ. წ.-ია

მსჯავრდებულები — ჩ. ჯ.-ძე, ვ. ჯ.-ძე

დაზარალებული — რ. ა.-ავა

განიხილა მსჯავრდებულ ჩ. ჯ.-ისა და ადვოკატ დ. ხ-ას საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 10 მარტის განაჩენზე, რომლითაც:

ჩ. (ე.) ჯ.-ძეს, — დაბადებულს წელს, ქართველს, უბარტიოს, ცოლშვილიანს, ნასამართლობის არმქონეს, პოლიციის ზედამხედველობაში მყოფს, — საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 104-ე მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებით საჯერებელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით, ამჟამად მოქმედი სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით — 2 წლით, მე-2 ნაწილით — 3 წლით, მე-3 ნაწილით — 5 წლით, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით — 8 წლით. 1960 წლის სსკ-ის მე-40 მუხლის საფუძველზე,

სასჯელთა შთანთქმის პრინციპით, ჩ. ჯ.-ძეს შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო – 23 თვე და საბოლოოდ დარჩა 8 წლითა და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

ვ. ჯ.-ძეს, – დაბადებულს წელს, ქართველს, უპარტიოს, ცოლშვილიანს, ნასამართლობის არქინეს, პოლიციის ზედამხედველობაში მყოფს, – საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით შეეფარდა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო – 1 წელი, 5 თვე, 2 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 6 თვითა და 28 დღით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით.

განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მსჯავრდებულებს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვთ პოლიციის ზედამხედველობა.

სასამართლო კოლეგიამ 2003 წლის 10 მარტის განჩინებით ჩ. ჯ.-ძის სისხლის სამართლის საქმე ო. ჩ.-იას ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის ბრალდების ეპიზოდში დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. განჩინება არ საჩივრდება.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

განაჩენით ჩ. ჯ.-ძეს მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ დამზადება, შენახვა, ტარებისათვის, დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობისათვის; ვ. ჯ.-ძეს – დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის. განაჩენის მიხედვით მათ ბრალად შერაცხული დანაშაული ჩაიდინეს შემდეგ გარემოებებში: ჩ. ჯ.-ძემ ორლულიანი სანადირო თოფის ლულების გადახერხვით მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა.

1992 წლის ივნისში ჩ. ჯ.-ძემის რაიონის სოფ.ში, ამჟამად მიმალვაში მყოფი პირის საცხოვრებელ სახლში, გაიცნო იქ სტუმრად მყოფი ვ. ჯ.-ძე. იმავე წლის 16 ივნისს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ სოფ.ში მცხოვრებ ვ. ხ.-ას გასვენებაში, სადაც მიიღეს ალკოჰოლური სასმელი. იმავე დღეს ჩ. ჯ.-ძემ განიზრახა, ვ. ჯ.-სთან და მესამე პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დასხმოდაის რაიონის სოფ.ში მცხოვრებ ხ. ა.-ას ოჯახს და გაეტაცებინათ მისი შვილის, რ. ა.-ას კუთვნილი, 2106 მარკის ავტომანქანა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რის თაობაზეც თავდაპირველად შეუთანხმდა ამჟამად მიმალვაში მყოფ პირს, შემდეგ ეს უკანასკნელი და ვ. ჯ.-ძე მიიყვანა ქ.-ის ოჯახში, თვითონ კი მივიდა თავის სახლში, საიდანაც გამოიტანა მის მიერ დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი, ლულებგადაჭრილი თოფი. შემდეგ სახლიდან წამოიყვანა ვ. ჯ.-ძე და მესამე პირი და დაახლოებით 23 საათზე ჩ. ჯ.-ძის მართვის ქვეშ მყოფი, თეთრი ფერის, „წითელკაპოტიანი“, 2105 მარკის ავტომანქანით მივიღნენ ხ. ა.-ვას სახლთან. ჩ. ჯ.-ძემ ა/მანქანის საბარგულიდან ამოიღო ზემოთ დასახელებული იარაღი, შემდეგ მან და მიმალვაში მყოფმა პირმა გაიკეთეს ნიღბები. ვ. ჯ.-ძემ თავდაპირველად უარი განაცხადა დანაშაულში თანამონაწილეობაზე, შემდეგ კი დათანხმდა და მათ მოტყუებით შეაღწიეს ა.-ბის ეზოში, იქ მყოფებს – რ. ხ. და მ. ა.-ბს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, იარაღის დემონსტრირებით, მოკვლის მუქარით მოსთხოვეს ავტომანქანის გადაცემა, რაზედაც

მათ თანხმობა განუცხადეს. ამის შემდეგ ვ. ჯ.-ძემ გახსნა ავტოფარეხის კარი, შევიდა შიგ, სადენების გადაერთებით აამუშავა ავტომანქანა, უკუსვლით გამოიყვანა ეზოში, გააჩერა, გადმოვიდა და ჩ. ჯ.-ძეს ჩაუარა ზურგს უკან. ამას დაემთხვა ისიც, რომ ხ. ა.-ვა აკვირდებოდა ჩ. ჯ.-ძეს, რომელმაც ვერ დაინახა, ვინ ჩაუარა ზურგს უკან. მან ჩათვალა, რომ ხ. ა.-ვა და მისი ახლობლები აპირებდნენ წინააღმდეგობის გაწევას და მოსალოდნელი იყო ეცნოთ, დაეკავებინათ და ემხილებინათ იგი დანაშაულის ჩადენაში. ჩადენილი დანაშაულის (ყაჩაღობის) დაფარვის მიზნოთ, ჩ. ჯ.-ძემ განიზრახა ხ. ა.-ვას მოგვლა, რითაც გასცდა ვ. ჯ.-ძესა და მესამე პირთან შეთანხმების ფარგლებს და ახლობლების – მეუღლისა და ვაჟიშვილის თანდასწრებით, აცნობიერებდა რა, რომ თავისი საქციელით მათ განსაკუთრებულ მორალურ ტანჯვას განაცდევინებდა, თანნაქონი იარაღიდან ერთხელ გასროლით ხ. ა.-ვას თავის არეში მიაყენა მძიმე დაზიანება. ქალა – სარკველის მრავალფრაგმენტოვანი მოტეხილობისა და ქალას ღრუში სისხლჩაქცევის გამო ხ. ა.-ვა გარდაიცვალა. ჩ. ჯ.-ძე და ყაჩაღობის ჩამდენი პირები შემთხვევის ადგილიდან მიიმაღნენ.

საკასაციო საჩივრებით მსჯავრდებული ჩ. ჯ.-ძე, მისი და მსჯავრდებულ ვ. ჯ.-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ხ.-ია ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და საქმის შეწყვეტას. საჩივრებში მითითებულია, რომ ჩ. ჯ.-ძეს და ვ. ჯ.-ძეს ბრალად შერაცხული დანაშაული არ ჩაუდენიათ და განაჩენით უკანონოდ არიან მსჯავრდებულნი. ადვოკატის აზრით, წინასწარი და სასამართლო გამოძიებით ვერ იქნა მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებები მსჯავრდებულთა მიმართ ბრალად შერაცხული დანაშაულის დასადასტურებლად, განაჩენი ემყარება ვარაუდებს და არა – უტყუარ მტკიცებულებებს. საჩივრის ავტორი თვლის, რომ დაზარალებულების – მ. და რ. ა.-ბის ჩვენებები, რომ თითქოსდა შემთხვევის მომენტში შეიცნეს მსჯავრდებულები, დამაჯერებლობას მოკლებულია. მისი აზრით, თუ ასეთს ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რატომ სდეუმდნენ დაზარალებულები 1999 წლამდე და არ მიმართეს საგამოძიებო ორგანოებს მსჯავრდებულების დაპატიმრების მოთხოვნით. ამასთან ერთად, ადვოკატი ითხოვს, პალატამ იმსჯელოს სასჯელისაგან მსჯავრდებულების განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან, მისი აზრით, განაჩენის დადგენის მომენტში გასული იყო ამ დანაშაულისათვის 1960 წლის სსკ-ის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 10 – წლიანი ვადა.

დაზარალებული რ. ა.-ვა შესაგებელში აღნიშნავს, რომ ჩ. ჯ.-ძეა ის პირი, რომელიც სხვებთან ერთად შემთხვევის დამეს თავს დაესხა მის ოჯახს და მოუკლა მამა, რის შესახებაც მაშინვე აცნობაის შინაგან საქმეთა განყოფილების პოლიციელებს. მისი მამხილებელი ფაქტები მსჯავრდებულის მიმართ სწორია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ჩ. ჯ.-ძის დაკავებამდე იგი შეგნებულად იკავებდა თავს, მიემართა საგამოძიებო ორგანოებისათვის, რადგან შურისძიების ეშინოდა. რ. ა.-ვა ითხოვს განაჩენის უცვლელად დატოვებას.

პალატის სხდომაზე ადვოკატებმა – დ. ხ.-ამ და ვ. წ.-ამ, მსჯავრდებულებმა – ჩ. ჯ.-ძემ და ვ. ჯ.-ძემ მოითხოვეს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილება.

სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორებმა – ა. ხ.-მა და ნ. უ.-მა საკასაციო საჩივრებს მხარი არ დაუჭირეს. მათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2003 წლის 10 მარტის განაჩენი ჩ. ჯ.-ისა და ვ. ჯ.-ძის მიმართ მიიჩნიეს დასაბუთებულად, კანონიერად და მოითხოვეს მისი უცვლელად დატოვება.

დაზარალებულმა რ. ა.-ამ მოითხოვა განაჩენის უცვლელად დატოვება. მან აღნიშნა, რომ მისი მამხილებელი ჩვენებები მსჯავრდებულის მიმართ სწორია და ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატიმ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მოისმინა მხარეების პოზიცია და თვლის, რომ განაჩენი ჩ. ჯ.-ძის მიმართ საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 104-ე მუხლის მექქსე, მეშვიდე პუნქტებით და ამჟამად მოქმედი სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს და სისხლის სამართლის საქმე ამ ეპიზოდში უნდა დაუბრუნდეს საქართველოს გენერალურ პროკურორას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. დანარჩენ ნაწილში განაჩენი ჩ. ჯ.-ძისა და ვ. ჯ.-ძის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგი გარემოებების გამო:

დიდი პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოსაზრებას მსჯავრდებულების სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის გადის გასვლის მოტივით. სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მოქმედისათვის ამოიწურა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა. სსკ-ის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა იანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემამდე. ჩ. ჯ.-სა და ვ. ჯ.-ძეს ბრალად შერაცხული დანაშაული ჩადენილი აქვთ 1992 წლის 16 ივნისს და ისინი ბრალდებულების სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცეს 1999 წლს, როცა ამოიწურული არ იყო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის მოქმედი სსკ-ის 49-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა. აღვოკატ დ. ხ.-იას მოსაზრება, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა გრძელდება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, უსაფუძვლოა და გაზიარებული ვერ იქნება.

დიდი პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოსაზრებას, რომ თითქოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ჩ. ჯ.-ძისა და ვ. ჯ.-ძის მონაწილეობა ხ. ა.-ვას ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში არ დასტურდება, რომ განაჩენი ამ მიმართებით ემყრება ვარაუდებს და არა – უტყუარ მტკიცებულებებს. წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებში დაზარალებულებმა – მ. და რ. ა.-ებმა ამხილეს მსჯავრდებულები დანაშაულში და განმარტეს, რომ ჩ. ჯ.-ძე და ვ. ჯ.-ძე არიან ის პირები, რომლებიც სხვა ბოროტმოქმედთან ერთად, ორლულიანი, გადაჭრილი თოფით თავს დაესხნენ მათ ოჯახს და შეეცადნენ ავტომანქანის გატაცებას. რ. ა.-ამ დაადასტურა ისიც, რომ თავდასხმის მომენტშივე შეიცნო ჩ. ჯ.-ძე და სწორედ მისი ინფორმაციის საფუძველზე შემთხვევიდან მეორე დღეს მოხდა მისი დაკავება. ის გარემოება, რომ დაზარალებულმა რ. ა.-ვამ 6 წლის განმავლობაში არ მიმართა საგამოძიებო ორგანოებს ჩ. ჯ.-ძისა და ყაჩაღობაში მონაწილე სხვა პირების დაპატიმრების მოთხოვნით, არ არის მის ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი. რ. ა.-ვამ ეს გარემოება ახსნა იმით, რომ, რადგან მსჯავრდებულები იყვნენ მიმალვაში, ეშინოდა მათი მხრიდან შურისძიების და ამის გამო შეგნებულად თავს იკავებდა,

მიემართა საგამოძიებო ორგანოებისათვის. მოწმეებმა: ი. ჯ.-ვამ, ვ. გ.-ამ, ა. ა.-ვამ, თ. წ.-ამ დაადასტურეს, რომ შემთხვევის დამეს და შემდგომ დღეებში მ. და რ. ა.-ები ჩ. ჯ.-ძეს ასახელებდნენ, როგორც მათ ოჯახზე თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთ პირს.

.....ის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა – ე. ჯ.-იამ და ჯ. ნ.-იამ განმარტეს, რომ 1992 წლის 17 ივნისს რ. ა.-გან შეიტყვეს, რომ მათ ოჯახს ორ ბოროტმოქმედთან ერთად თავს დაესხა ჩ. ჯ.-ძე და ამ ინფორმაციის საფუძველზე მოხდა ამ უკანასკნელის დაკავება და პოლიციაში წარდგენა. საქმის მასალებით დადგენილია და ჩ. ჯ.-ძეც არ უარყოფს, რომ იგი, როგორც ყაჩაღურ თავდასხმაში ეჭვმიტანილი პირი, მიმაღვაში მყოფ ბ. უ.-სთან ერთად შემთხვევის მეორე დღეს მართლაც იყო დაკავებული დაის პოლიციაში წარდგენილი.

მოწმე გ. ხ.-ვამ, რომლის წარმოებაში იყო ხ. ა.-ვას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე აღმრული სისხლის სამართლის საქმე, დაადასტურა, რომ ბ. უ.-იამ ეჭვმიტანილად დაკითხებისას აღიარა ყაჩაღობაში მონაწილეობა, ჩ. ჯ.-ძის დაკითხვა კი ვეღარ მოხერხდა, რადგან შეიარაღებულმა ბანდამის პოლიციის შენობა დაარბია, სისხლის სამართლის საქმე გაანადგურა და ჩ. ჯ.-ძე და ბ. უ.-ია პატიმრობიდან გაათავისუფლა. შემთხვევის დღეს ჩ. ჯ.-ძე, ვ. ჯ.-აძე და ბ. უ.-ია რომ ერთად იყვნენ და ჩ. ჯ.-ძის მართვის ქვეშ მყოფი თეთრი ფერის, „წითელგაბოტანი“ ავტომანქანით მოძრაობდნენ, დადგენილია მოწმე მ. ხ.-ვას ჩვენებებით. მსჯავრდებულ ვ. ჯ.-ძის და – მ. ჯ.-ძე წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში არ უარყოფდა შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე მსჯავრდებულებისა და ბ. უ.-ას მისი ოჯახიდან ერთად გასვლის ფაქტს. იგი ადასტურებდა იმასაც, რომ გვიან ღამით დაბრუნებულმა ვ. ჯ.-ძემ უსაყველურა მას: „შენთვის უნდა დამეჯერებინა და იმ ოხრებს არ გავყოლოდო“. გრაფიკული ექსპერტიზით დადგინდა, რომ აღნიშნული ჩვენება დაწერილია მ. ჯ.-ძის მიერ და დაკითხვის ოქმზე ხელმოწერაც მას ეკუთვნის.

დღიდ პალატას სარწმუნოდ მიაჩნია მსჯავრდებულ ვ. ჯ.-ძის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები, რომლებითაც იგი ამხელს ჩ. ჯ.-ძეს დანაშაულში და ადასტურებს მასთან და მიმაღვაში მყოფ პირთან ერთად ხ. ა.-ას ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობას. ვ. ჯ.-ძე ამ ჩვენებებში არ უარყოფს იმასაც, რომ ჩ. ჯ.-ძე შეიარაღებული იყო გადაჭრილი, ორლულიანი თოფით. ვ. ჯ.-ძის მიერ ჩვენებების შეცვლა, რომ თითქოს ჩ. ჯ.-ძე არ არის ის პირი, რომელიც ამ გვარით გაეცნო მას და მონაწილეობდა ხ. ა.-ვას ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში, სასამართლო კოლეგიამ სწორად შეაფასა, როგორც მის მცდელობად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან მსჯავრდებულ ჩ. ჯ.-ძის დასახსნელად.

მსჯავრდებულ ჩ. ჯ.-ძის ვერსია, რომ თითქოს შემთხვევის დღეს გასტაცეს ავტომანქანა და შესაძლებელია, უცნობი პირები ამ ავტომანქანით მივიღნენ ხ. ა.-ვას სახლთან და ჩაიდინეს ყაჩაღური თავდასხმა, სასამართლო არ გაიზიარა, ვინაიდან იგი წინასწარი და სასამართლო გამოძიებით არ დადასტურდა.

დღიდ პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ჩ. ჯ.-ძისა და ვ. ჯ.-ძის მიერ 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია და სასჯელიც მსჯავრდებულებს განსაზღვრული აქვთ იმ ზომით, რაც შეესაბამება მათ პიროვნებას, ჩადენილი დანაშაულის სიმბიმესა და ხასიათს.

ამასთან ერთად, დღიდ პალატა თვლის, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს სრულად არ გამოკვლეულა ხ. ა.-ვას მკვლელობის გარემოებები და დანაშაულის

მოტივი. საბრალდებო დასკვნითა და განაჩენით დადგენილად არის მიჩნეული, რომ ჩ. ჯ.-ძემ ხ. ა.-ვას ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს, ამ დანაშაულის დაფარვისა და გაადვილების მიზნით, გადაჭრილი, ორლულიანი თოფიდან გასროლით, განსაკუთრებული სისასტიკით განზრას მოკლა იგი. დიდი პალატა მიიჩნევს, რომ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს არ მოუპოვებიათ უტყუარი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ ჩ. ჯ.-ძემ ჩაიდინა ხ. ა.-ვას განზრას მკვლელობა. დაზარალებული რ. ა.-ვა განმარტავს, რომ მას ჩ. ჯ.-ძის მიერ თოფიდან გასროლის მოქმედი არ დაუნახავს. თვით ჩ. ჯ.-ძემ კატეგორიულად უარყოფს მკვლელობისა და ყაჩაღობის ჩადენის ფაქტს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – ორლულიანი, გადაჭრილი თოფი წინასწარი გამოძიების მიერ ამოღებული არ ყოფილა. უფრო მეტიც, ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილე მესამე პირი იმყოფება მიმაღვაში და იგი დაკავებული არ არის. დამატებითი გამოძიების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები დანაშაულის ჩადენაში მხილებული მესამე პირის ადგილსაყოფლის დასადგენად, რომლის ჩვენებასაც მნიშვნელობა აქვს მკვლელობის გარემოებათა სრულად გამოკვლევისათვის. განაჩენი მკვლელობის მოტივს დადგენილად მიიჩნევს დაზარალებულ რ. ა.-ვას ჩვენებებით, რომლებიც ვარაუდებზეა დამყარებული. რ. ა.-ვა განმარტავს, რომ თავდასხმის მომენტში ჩ. ჯ.-ძე მამამისს უუბნებოდა, რომ ხმა არ ამოედო, თორებ შვილს მოუკლავდა. ამ მომენტში მოხდა გასროლა და მამამისი დაეცა. მისი აზრით, ჩ. ჯ.-ძემ მამა მოუკლა იმიტომ, რომ მან სცადა წინააღმდეგობის გაწევა, ან მიხვდა, რომ იცნო იგი, ან იმიტომ, რომ ვ. ჯ.-ძემ უკნიდან ჩაურბინა ჩ. ჯ.-ძეს და ამ უკანასკნელს ეგონა, რომ ვიღაც მივიდა ა.-ვების დასახმარებლად. დაუდგენელია, ასეთ ვითარებაში, როდესაც მუქარა მიმართული იყო შვილისაკენ, რატომ იქნა ჩადენილი მამის მკვლელობა. წინასწარი გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი მკვლელობის გარემოები და მოტივი. დიდი პალატა თვლის, რომ დამატებითი გამოძიების დროს უნდა შემოწმდეს საქმეზე წამოჭრილი ყველა ვერსია, მოპოვებულ მტკიცებულებებს უნდა მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება, რის შემდეგაც ბრალდების ამ ეპიზოდში მიღებულ უნდა იქნეს ობიექტური და კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგის 2003 წლის 10 მარტის განაჩენი ჩ. ჯ.-ძის მიმართ 1960 წლის სსკ-ის 104-ე მუხლის მექქსე, მეშვიდე პუნქტებითა და ამჟამად მოქმედი სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე ნაწილებით მსჯავრდების ნაწილში გაუქმდეს და ამ ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

დანარჩენ ნაწილში განაჩენი ჩ. ჯ.-ძისა და ვ. ჯ.-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შენიშვნა: დიდი პალატის თავმჯდომარე მ. ტურავა დარჩა განსხვავებულ აზრზე.